



USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოში აივ
პრევენციის პროექტი

მაღალი რისკის ჯგუფებში აივ პრევენციული სერვისების მონიტორინგის პრაქტიკული სახელმძღვანელო

აპრილი, 2013 წელი

დოკუმენტის მომზადება შესაძლებელი გახდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებული "საქართველოში აივ პრევენციის პროექტის" ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით

სარჩევი

შესავალი.....	3
მონიტორინგისა და შეფასების (მ&შ) ზოგადი მიმოხილვა.....	3
მონაცემთა ხარისხის განმსაზღვრელი კომპონენტები	5
მონიტორინგის სახელმძღვანელოს შექმნის მიზანი და ამოცანები	6
მ&შ სპეციფიკური საკითხები მაღალი რისკის ჯგუფებში.....	6
მონაცემთა ხარისხის შეფასება.....	7
მონაცემთა შეგროვებისა და ანგარიშების სისტემის შეფასება.....	7
დამატებითი კითხვები შუალედური რგოლის პერსონალისათვის.....	8
მონაცემთა შეფასება ძირითად ინდიკატორებთან მიმართებაში	8
ტესტირება	8
აუთრიჩი.....	10
ტრენინგები.....	11
საინფორმაციო მასალების/კონდომების დისტრიბუცია	13
მ&შ ანგარიშის ფორმატი.....	14
პროგრამული მონაცემების მართვა	15
მონაცემთა ბაზის გაწმენდის ინსტრუქციები	15
მონაცემთა დამუშავება და ანალიზი.....	16

დანართები

დანართი 1. ერთიანი მონაცემთა ბაზა	17
დანართი 2. მონაცემთა ბაზის წარმოების ინსტრუქციები	18
დანართი 3. HIV Prevention პროგრამის გამოყენების ინსტრუქციები	22
დანართი 4. ბენეფიციართა გამოკითხვა.....	25
დანართი 5. თანასწორთა განათლების ტრენინგები	26

ცხრილები

ცხრილი 1: ერთიანი მონაცემთა ბაზის ინტერფეისი	17
ცხრილი 2: აივ ტესტირების შემდგომი თვითადმინისტრირებადი კითხვარი.....	25
ცხრილი 3: ბენეფიციართა გამოკითხვა გასვლით სესიებზე.....	25
ცხრილი 4: თანასწორთა განათლება ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისათვის (ტრენინგზე დამკვირვებლის ფორმა)	26
ცხრილი 5: თანასწორთა განათლება სექს-ბიზნესში ჩართული ქალებისათვის (ტრენინგზე დამკვირვებლის ფორმა)	28
ცხრილი 6: თანასწორთა განათლება ჰომოსექსუალური კავშირების მქონე მამაკაცებისათვის (ტრენინგზე დამკვირვებლის ფორმა)	30

შესავალი

მსოფლიო სტატისტიკით საქართველო მიეკუთვნება აივ ინფექცია/შიდსის დაბალი პრევალენტობის ქვეყნებს და ამ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ბოლო ადგილი უკავია, თუმცა, მეორეს მხრივ, შიდსის ეპიდემიის კანონზომიერებიდან გამომდინარე, აივ ინფიცირებულების სავარაუდო რიცხვი საქართველოში 6000-ს უტოლდება. ეს კი ისეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისათვის, როგორც საქართველოა, უკვე საკმაოდ სოლიდური რიცხვია.

აივ/ინფექცია შიდსის გავრცელების ხელის შემწყობი ფაქტორები საქართველოში¹

- ნარკოტიკის მოხმარების ფართო გავრცელება;
- საქართველოს მეზობელ ქვეყნებში შიდსის თვალსაზრისით არასახარბიელო მდგომარეობა;
- სგგი-ის მაღალი პრევალენტობა;
- მოსახლეობის მზარდი მიგრაცია და ფართო საერთაშორისო კონტაქტები;
- ერთჯერადი სამედიცინო ინსტრუმენტების, სადეზინფექციო და სასტერილიზაციო საშუალებათა ნაკლებობა;
- სამედიცინო პერსონალის არასაკმარისი უნარ-ჩვევები ინფექციათა გადაცემის პროფილაქტიკის საკითხებთან დაკავშირებით;
- პრეზერვატივებზე ტრადიციულად დაბალი მოთხოვნილება;
- შიდსის შესახებ მოსახლეობის ცოდნის დაბალი დონე.

2013 წლის 20 თებერვლის მონაცემებით აივ/შიდსის ეპიდემია მეტწილად მამაკაცებში (შემთხვევების 73%) და მაღალი რისკის ჯგუფებშია კონცენტრირებული. ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპის და დსთ-ს რეგიონის უმეტეს ქვეყნებში, საქართველოშიც ინექციური ნარკოტიკების მოხმარება აივ/შიდსით ინფიცირების ყველაზე გავრცელებული გზაა და შემთხვევების 53% შეადგენს. 39%-ში ინფიცირება ჰეტეროსექსუალური კონტაქტის გზით, ხოლო 4,2%-ში კი - ჰომოსექსუალური კონტაქტით ხდება, 2,1% ინფიცირებულია ვერტიკალური გზით და 0,5% – სისხლის გადასხმით.

აღნიშნულის გათვალისწინებით აივ პრევენციული პროექტების მიზანია აივ ინფექციის პრევენცია სამიზნე მაღალი რისკის ჯგუფებში, როგორცაა: ნარკოტიკების მოხმარებლები და მათი პარტნიორები, ჰომოსექსუალი მამაკაცები და კომერციული სექსმუშაკები, რადგანაც დაავადების მართვის საუკეთესო საშუალებად მისი პრევენცია მიიჩნევა.

მონიტორინგისა და შეფასების (მ&შ) ზოგადი მიმოხილვა

ეროვნული თუ დონორის მიერ დაფინანსებული პროგრამები ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს და ცდილობენ მიაღწიონ ამბიციურ მიზნებს სხვადასხვა დაავადებებთან ბრძოლაში. ამ პროგრამების მართვის გაუმჯობესება და

¹ www.aidscenter.ge

წარმატების შესაფასება ემყარება მკაცრი მონიტორინგისა და შეფასების სისტემის არსებობას.

უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს სამუშაოთა შესრულების შეფასების ერთი უნივერსალური მეთოდი; ყველაფერი დამოკიდებულია ორგანიზაციისა და სამუშაოთა თავისებურებებზე, კონკრეტულ ვითარებაზე; თუმცა, შესაძლებელია გამოიყოს სამუშაოთა შესრულების შეფასების მეტ-ნაკლებად ტიპური მიდგომები, რაზეც ამ მეთოდურ მითითებებშია გამახვილებული ყურადღება.

დაგეგმილ სამუშაოთა შესრულების ობიექტური შეფასება ორგანიზაციის წარმატებული მართვის ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული საკითხია. ობიექტური შეფასების გარეშე შეუძლებელია განისაზღვროს: რამდენადაა მიღწეული პროგრამის კონკრეტული აქტივობების მიზნები და ამოცანები; რა მიღწევები და ხარვეზებია; რა პრიორიტეტული პრობლემებია უპირველეს ყოვლისა გადასაწყვეტი, როგორ უნდა მოხდეს ამ პრობლემების გადაჭრა; როგორი უნდა იყოს ახლო და შორეულ პერსპექტივაში საქმიანობის სტრატეგია და ტაქტიკა, რათა უფრო წარმატებულად იქნეს მიღწეული დასახული მიზნები, ამოცანები და სხვ.

არსებობს მონიტორინგისა და შეფასების სხვადასხვა მიდგომები, როგორცაა შიდა მონიტორინგი, რომელსაც ახორციელებს პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაცია და გარე მონიტორინგი (დამოუკიდებელი) ექსპერტების და შეფასების სპეციალისტების (როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები) მიერ ჩატარებული შეფასება, ამ სახელმძღვანელოში განხილულია მშშ ჩატარების მეთოდები პროგრამულ დონეზე.

შემსრულებელი ორგანიზაცია პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობის შესრულების მონიტორინგის და შეფასების უწყვეტი პროცესის უზრუნველსაყოფად წარმოადგენს მონაცემებს (პირველად ფორმებს), ახდენს სამუშაოთა შესრულების ანგარიშგებას, რომელიც თავის მხრივ, მონიტორინგისა და შეფასების სისტემის განუყოფელ ნაწილად განიხილება.

ზოგადად, მონაცემთა ხარისხი დამოკიდებულია მონაცემთა მართვისა და ანგარიშგების არსებულ სისტემაზე. სისტემის გაუმჯობესებამ უნდა უზრუნველყოს მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება. ხარისხიანი მონაცემების არსებობისა და სისტემაში მათი მოძრაობისათვის აუცილებელია საკვანძო ფუნქციური ელემენტების, როგორცაა: განსაზღვრული მშშ ინდიკატორების, მონაცემთა შეგროვების, ანგარიშგებისა და მართვის პროცედურების, ფორმებისა და ინსტრუმენტების არსებობა პროგრამის ყველა დონეზე (როგორც სერვისის მიწოდების, ასევე შუალედურ დონეებზე).

მონაცემთა ხარისხის შეფასება ეფუძნება მონაცემთა ხარისხის განმსაზღვრელ კომპონენტებს, კერძოდ: მათ სანდობას, ვალიდურობას, სიზუსტეს, სისრულეს, ხელმისაწვდომობას და დროულ ანგარიშგებას. ასევე მონაცემების ხარისხის განმსაზღვრელია მათი კონფიდენციალობა. ასეთი მონაცემების არსებობა და მათი

ანალიზი შესაძლებელს ხდის არსებული რესურსების ეფექტურად მართვას და დასახული მიზნების მისაღწევად პროგრესის შეფასებას.

მონაცემთა ხარისხის განმსაზღვრელი კომპონენტები ²

ვალიდურობა – მონაცემი უნდა იყოს სარწმუნო, არ უნდა განსხვავდებოდეს რეალურად მოპოვებულისაგან და არ უნდა ხდებოდეს მისი მანიპულირება სხვადასხვა მიზნებისათვის. ასევე, მონაცემი უნდა იყოს კორექტული, შეყვანის შეცდომები დაყვანილი უნდა იყოს მინიმუმამდე.

სანდოობა – პროგრამის მონაცემთა მართვის სისტემაში მონაცემები უნდა ხვდებოდეს არსებული პროტოკოლებისა და გაწერილი პროცედურების დაცვის შესაბამისად. ეს პროცედურები უნდა იყოს დადგენილი და არ იცვლებოდეს იმის მიხედვით თუ ვინ, როდის და რამდენად ხშირად იყენებს მათ; მონაცემების მოპოვება და აღრიცხვა უნდა ხდებოდეს თანმიმდევრულად და ერთნაირად.

სიზუსტე – მონაცემი ზუსტია თუკი ის აკმაყოფილებს ყველა კრიტერიუმსა და პირობას, რაც ასახულია ინდიკატორში და მისი მრავალჯერადი გაზომვისას მიიღება ერთი და იგივე შედეგი. მაგ.: ინდივიდთა რაოდენობის განსაზღვრისას, ვინც ჩაიტარა აივ ტესტირება და იცის შედეგი, აუცილებელია არა მხოლოდ იმ პირთა რაოდენობის გამოთვლა ვინც ჩაიტარა ტესტირება, არამედ ვინც შეიტყო შედეგი.

სისრულე – შეფასებისათვის გამოყენებული უნდა იყოს სრულყოფილი მონაცემები. მონაცემთა ბაზა უნდა იძლეოდეს ინფორმაციის სრულყოფილად და არა ნაწილობრივ მიღების საშუალებას. მაგ.: თუ ამა თუ იმ ინდიკატორის გასაზომად საჭიროა მისი დეზაგრეგაცია სქესისა და ასაკის მიხედვით, მონაცემთა ბაზაში აღრიცხული უნდა იყოს ყველა ინდივიდის სქესი და ასაკი.

დროულობა – მონაცემი უნდა იყოს შესაბამისი დროის იმ პერიოდისა, რომლის შეფასებაც ხდება. ამ კომპონენტზე გავლენას ახდენს ინფორმაციისა და პროგრამული აქტივობების განახლების სიხშირე და ის, თუ რეალურად როდის ხდება მონაცემების გამოყენება.

კონფიდენციალობა – პერსონალური მონაცემები უნდა იყოს დაცული და ინახებოდეს კონფიდენციალობის საერთაშორისო სტანდარტების სრული დაცვით და არ ხდებოდეს მათი გამჟღავნება.

მონაცემთა ხარისხის შეფასების მიზანია:

- მონაცემთა ვერიფიცირება ძირითად ინდიკატორებთან მიმართებაში შერჩეულ ადგილებზე;
- მონაცემთა მართვის სისტემის უნარის შეფასება ხარისხიანი მონაცემების შეგროვებისა და ანგარიშგების კუთხით.

² Data Quality Audit Tool; jointly developed with PEPFAR, USAID, WHO and Measure Evaluation. August 2008

მონიტორინგის სახელმძღვანელოს შექმნის მიზანი და ამოცანები

პროგრამული მონაცემების ხარისხის შესაფასებლად შექმნილი ინსტრუმენტი ფოკუსირებულია არსებული მონაცემების ხარისხის შემოწმებაზე, პირველად მონაცემთა ანგარიშგების სისტემის შეფასებაზე და მის გაძლიერებაზე.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებია:

- მონიტორინგის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა, რომლებიც გამოყენებულ უნდა იქნეს პროგრამის იმპლემენტაციის პროცესის შეფასებისას;
- საორიენტაციო მეთოდების განსაზღვრა პროგრამის გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა შედეგების შესაფასებლად.

ეს სახელმძღვანელო განკუთვნილია ყველა იმ ორგანიზაციისათვის, ვინც ახორციელებს აივ პრევენციულ პროექტებს ან განახორციელებს მომავალში. მისი გამოყენება შესაძლებელია შეფასების დაგეგმვისა და განხორციელებისათვის პროექტის დონეზე.

კონკრეტული მეთოდის შერჩევასა, მხედველობაში მიიღება შეფასების მასშტაბი და შინაარსი.

მ&შ სპეციფიკური საკითხები მაღალი რისკის ჯგუფებში

როგორც ცნობილია, მაღალი რისკის ჯგუფებში აივ პრევენციული სერვისების მიწოდება დაკავშირებულია სხვადასხვა სირთულეებთან, რაც გამოწვეულია სტიგმის არსებობით. სტიგმა არა მხოლოდ აივ ინფექციასთან არამედ, სხვადასხვა სარისკო ქცევასთან (ნარკოტიკის ინექციური მომხმარება, ჰომოსექსუალური კავშირები, კომერციული სექსი) არის ასოცირებული. რაც ხელს უშლის ამ ჯგუფის წევრებს როგორც ინფორმაციის, ასევე, საჭირო სერვისების მიღებაში. ცალკე უნდა აღინიშნოს ინექციური ნარკომომხმარებლების მდგომარეობა, რომელთა წილი ამჟამად აივ ინფიცირებულთა 54%-ს შეადგენს. ამ ჯგუფში ინფიცირების ბუნებრივად მაღალ დონეს ემატება ქვეყანაში არსებული ნარკოკანონმდებლობა, ნარკოტიკის მომხმარებელთა საკანონმდებლო დევნა, რაც ჯგუფის წევრების მხრიდან ტესტირებასა და პროფილაქტიკური სერვისების მიღებაზე უარის თქმის მიზეზი ხდება. შესაბამისად, ასეთი ჯგუფების მოცვა გამწვანებულია მათთან უშუალოდ მომუშავე სოცმუშაკებისათვის, მითუმეტეს გართულებულია ამ პროცესზე დაკვირვება გარედან. ამა თუ იმ რისკ-ჯგუფის წევრთათვის პრევენციული სერვისების მონიტორინგის მიზნით საჭიროა ამ ინდივიდებთან წინასწარი შეთანხმება, რაც უმეტესწილად ხორციელდება მათთან უშუალო კონტაქტში მყოფი სოცმუშაკების მიერ. მხოლოდ თანხმობის მიღების შემდეგ არის შესაძლებელი ტესტირების ან გასვლით სესიებზე დასწრება და/ან გასაუბრება ბენეფიციარებთან.

მაღალი რისკის ჯგუფების წევრთა პერსონალური ინფორმაცია ანონიმურია და, შესაბამისად, მონაცემთა აღრიცხვისას გამოიყენება კოდირება. მარტივი

საიდენტიფიკაციო კოდების გამოყენება არ იძლევა ინდივიდთა იდენტიფიცირების საშუალებას, რაც ასევე სირთულეა და სრულიად დამოკიდებულია სერვისის მიწოდებელთა პროფესიონალიზსა და კეთილსინდისიერებაზე.

მონაცემთა ხარისხის შეფასება

მონაცემთა შეგროვებისა და ანგარიშების სისტემის შეფასება პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპია იმისათვის, რათა მოხდეს რეგისტრირებული და ანგარიშებული მონაცემების შედარება ცალკეულ ინდიკატორებთან მიმართებაში.

პროგრამულ დონეზე აქტივობების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს პროგრამის მმშ სპეციალისტი, ან ასეთის არარსებობის შემთხვევაში პირი, ვისაც შეთავსებული აქვს ეს ფუნქცია.

ამ ტიპის შეფასების ჩატარების პერიოდულობა დამოკიდებულია კონკრეტული პროექტის მასშტაბსა და შინაარსზე და ასევე, პროექტის განმახორციელებლის გადაწყვეტილებაზე. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს პროექტის პერსონალის საჭიროება სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით და შესაბამისად დაიგეგმოს მონიტორინგის ვიზიტები.

პროგრამული აქტივობების მონიტორინგის ჩატარება მნიშვნელოვანია განმახორციელებელი ორგანიზაციისათვის, რაც საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს სერვისების მიწოდება მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე.

მონაცემთა შეგროვებისა და ანგარიშების სისტემის შეფასება

კომპონენტი	რა კითხვები უნდა დაისვას შერჩეულ ადგილებზე ჩატარებული ვიზიტების დროს
მონაცემთა საანგარიშგებო მოთხოვნები	1. ჩატარებულია თუ არა სწავლება/განმეორებითი ტრენინგი პროექტის მონიტორინგისა და შეფასების (მმშ) დადგენილი პროცედურების შესახებ იმ პერსონალისათვის, ვინც უშუალოდ დაკავებულია მონაცემთა შეგროვებით/რეგისტრაციით თუ ანგარიშებით სერვისის მიწოდების ადგილებზე?
	2. ვინ აგროვებს მონაცემებს და შემდეგ ახდენს მათ რეგისტრაციას კონკრეტულ ეტაპზე
	3. როგორ ხდება საჭირო მონაცემების/ინფორმაციის შეგროვება
მონაცემთა შეგროვება და ანგარიშების ფორმები	1. ხდება თუ არა პროექტის ფარგლებში დადგენილი რეგისტრაციის/ანგარიშების სტანდარტული ფორმების გამოყენება სერვისის მიწოდების ადგილებში?
	2. ხდება თუ არა დროული ანგარიშგება
მონაცემთა	1. წარმოებს თუ არა მონაცემთა ხარისხის კონტროლი მათი

მართვის პროცესი	გადატანისას სარეგისტრაციო ფორმებიდან/ჟურნალებიდან ელექტრონულ ბაზაში
	2. ბენეფიციართა პერსონალური ინფორმაციის შეგროვების თუ შენახვისას ხდება თუ არა კონფიდენციალობის დაცვა? დაცულია თუ არა კოდირების წესი?

დამატებითი კითხვები შუალედური რგოლის პერსონალისათვის

მონაცემთა საანგარიშგებო მოთხოვნები	1. არსებობს თუ არა მონაცემთა ხარისხზე (სიზუსტე, სარწმუნოება, დროული ანგარიშგება) პასუხისმგებელი პერსონალი შუალედურ რგოლში, რომელიც ახდენს ადგილებიდან მიღებული მონაცემების აგრეგირებას
მონაცემთა მართვის პროცესი	1. არსებობს თუ არა შუალედურ რგოლსა და სერვისის მიმწოდებლებს შორის უკუკავშირი და სისტემატურად ხდება თუ არა რეაგირება მათი ანგარიშების ხარისხის შესახებ

მონაცემთა შეფასება ძირითად ინდიკატორებთან მიმართებაში

მონაცემთა შეფასების ინსტრუმენტის ეს ნაწილი ემსახურება იმის დადგენას, ხდება თუ არა სერვისის მიწოდების ადგილებზე მონაცემთა შეგროვება და ანგარიშგება სწორად და დროულად. ამისათვის უნდა განისაზღვროს წარმოებს თუ არა ადგილებზე ყველა აუცილებელი ცვლადის აღრიცხვა ჟურნალებსა თუ სარეგისტრაციო ფორმებში თითოეულ ინდიკატორთან მიმართებაში და შემდეგ მოხდეს მათი შედარება ანგარიშგებულ მონაცემებთან.

არსებობს მონაცემთა შემოწმების 5 ძირითადი საფეხური (დოკუმენტაციის შემოწმება, ვერიფიკაცია, ჯვარედინი შემოწმება, დაკვირვება და ბენეფიციართა გამოკითხვა), რომელთა გამოყენებაც უნდა მოხდეს თითოეულ ინდიკატორთან მიმართებაში.

ქვემოთ მოყვანილია მონაცემთა ვერიფიკაციის პროტოკოლი მიწოდებული სერვისების ტიპის მიხედვით:

ტესტირება

დოკუმენტაციის შემოწმება

უნდა შემოწმდეს რამდენად ხელმისაწვდომი და სრულყოფილია პირველადი დოკუმენტაცია და შეესაბამება თუ არა დროის იმ პერიოდს, რომლის შეფასებაც ხდება.

უნდა დადგინდეს ზუსტად და დროულად ხდება თუ არა სერვისის მიწოდების ადგილებზე პირველადი დოკუმენტაციის წარმოება და შემდეგ მოხდეს არსებული მონაცემების შედარება ანგარიშგებულ მონაცემებთან, იმის გასარკვევად, არის თუ არა მონაცემები სწორად აგრეგირებული ან ხომ არა აქვს ადგილი მანიპულირებას

და ასევე საკმარისია თუ არა ის ცვლადები ტესტირებასთან დაკავშირებული ინდიკატორების წარმოებისათვის.

ვერიფიკაცია

სერვისის მიწოდების ადგილებზე უნდა მოხდეს პირველად დოკუმენტაციაში აღრიცხული ტესტირების შემთხვევების დათვლა და შემდეგ მოხდეს შედარება ანგარიშგებულთან. შეუსაბამობის შემთხვევაში უნდა გაკეთდეს განმარტება. ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შევსება საშუალებას იძლევა დადგინდეს, არის თუ არა განსხვავება რეგისტრირებულსა და ანგარიშგებულ მონაცემებს შორის ცალკეული სამიზნე ჯგუფების მიხედვით

სამიზნე ჯგუფი	ტესტირებულ ბენეფიციართა საერთო რაოდენობა დროის შერჩეული პერიოდისათვის		შენიშვნა
	რეგისტრირებული	ანგარიშგებულ	

ჯვარედინი შემოწმება

თუკი შესაძლებელია უნდა ჩატარდეს ჯვარედინი შემოწმება, რისთვისაც უნდა მოხდეს ანგარიშგებულ მონაცემების საერთო რაოდენობის შედარება სხვა რელევანტურ მონაცემებთან, მაგ.: ლაბორატორიული ინვენტარის ხარჯვის აღრიცხვის მონაცემებთან, საინფორმაციო მასალების ან კონდომების აღრიცხვის ჟურნალში არსებულ მონაცემებთან და სხვ.

დაკვირვება

იმის გათვალისწინებით, რომ აივ ინფექციაზე ტესტირება კონფიდენციალურია, წინასწარ მიღებული თანხმობის შემთხვევაში უნდა განხორციელდეს დაკვირვება სერვისის მიწოდების ადგილებში (იქნება ეს ცენტრები, მობილური ლაბორატორია თუ ველზე ჩატარებული აივ კონსულტირება და ტესტირება) გარკვეული დროის განმავლობაში, რათა განისაზღვროს საშუალოდ რამდენი ბენეფიციარი იტარებს ტესტირებას და შემდეგ მოხდეს ამ მაჩვენებლის შედარება საშუალო დღიურ რეგისტრირებულ შემთხვევებთან.

ბენეფიციართა გამოკითხვა

კლიენტმა, თანხმობის შემთხვევაში, სასურველია, შეავსოს მარტივი, თვით – ადმინისტრირებადი, ანონიმური კითხვარი (დანართი 4, ცხრილი 2) აივ ტესტირების შემდგომ, რათა გაირკვეს:

- რამდენად კმაყოფილია მიღებული სერვისით?
- ჩაუტარდა თუ არა პრე-ტესტ კონსულტირება, აივ ტესტირება და პოსტ-ტესტ კონსულტირება?
- შეიტყო თუ არა ტესტირების შედეგი?

- აპირებს თუ არა გაუზიაროს ინფორმაცია სხვებს ასეთი ტიპის სერვისის არსებობის შესახებ?

სასურველია რამდენიმე (2–3 ბენეფიციარის გამოკითხვა).

აუთრიჩი

დოკუმენტაციის შემოწმება

უნდა შემოწმდეს რამდენად ხელმისაწვდომი და სრულყოფილია პირველადი დოკუმენტაცია და შეესაბამება თუ არა დროის იმ პერიოდს, რომლის შეფასებაც ხდება.

უნდა დადგინდეს ზუსტად და დროულად ხდება თუ არა სერვისის მიწოდების ადგილებზე პირველადი დოკუმენტაციის წარმოება და შემდეგ მოხდეს არსებული მონაცემების შედარება ანგარიშგებულ მონაცემებთან, იმის გასარკვევად, არის თუ არა მონაცემები სწორად აგრეგირებული ან ხომ არა აქვს ადგილი მანიპულირებას და ასევე საკმარისია თუ არა ის ცვლადები ამა თუ იმ ინდიკატორის წარმოებისათვის

ვერიფიცირება

სერვისის მიწოდების ადგილებზე უნდა მოხდეს პირველად დოკუმენტაციაში აღრიცხული აუთრიჩის შემთხვევების დათვლა და შემდეგ მოხდეს შედარება ანგარიშგებულთან. შეუსაბამობის შემთხვევაში უნდა გაკეთდეს განმარტება. ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შევსება საშუალებას იძლევა, დადგინდეს არის თუ არა განსხვავება რეგისტრირებულსა და ანგარიშგებულ მონაცემებს შორის ცალკეული სამიზნე ჯგუფების მიხედვით

სამიზნე ჯგუფი	მოცული ბენეფიციარების საერთო რაოდენობა დროის შერჩეული პერიოდისათვის		შენიშვნა
	რეგისტრირებული	ანგარიშგებული	

ჯვარედინი შემოწმება

თუკი შესაძლებელია, უნდა ჩატარდეს ჯვარედინი შემოწმება, რისთვისაც უნდა მოხდეს ანგარიშგებულ მონაცემების საერთო რაოდენობის შედარება სხვა რელევანტურ მონაცემებთან, მაგ.: საინფორმაციო მასალების ან კონდომების აღრიცხვის ჟურნალში არსებულ მონაცემებთან, საწვავისა და ტრანსპორტირების აღრიცხვის მონაცემებთან და სხვ.

დაკვირვება

აუთრიჩზე დასაკვირვებლად სოცმუშაკებთან შეთანხმებით, შემთხვევითობის პრინციპით უნდა შეირჩეს სერვისის მიმწოდებლების მიერ დაგეგმილი აუთრიჩის

სესიებიდან რამდენიმე (სხვადასხვა რისკ-ჯგუფებისათვის) და მოხდეს დაკვირვება. მონიტორინგის ვიზიტის დროს უნდა დადგინდეს პრევენციული სერვისებით მოცული ბენეფიციარების რაოდენობა და ასევე თუ რა ტიპის სერვისების მიწოდება მოხდა სოცმუშაკების მიერ და შეივსოს დამკვირვებლის ფორმა (დანართი 4, ცხრილი 3).

ბენეფიციართა გამოკითხვა

გასვლით სესიებზე დასწრების შემდეგ ან შესაძლოა წინასწარი შეთანხმებით, (განსაკუთრებით ეს ეხება ჰომოსექსუალური კავშირების მქონე მამაკაცებს) უნდა შეირჩეს რამდენიმე (3–4) ბენეფიციარი თითოეული სამიზნე ჯგუფიდან და მათი თანხმობის შემთხვევაში მოხდეს მათთან გასაუბრება შემდეგ საკითხებზე:

- ჰქონია თუ არა კონტაქტი სოცმუშაკებთან ადრე და თუ ჰქონია, როდის?
- რა სახის სერვისები აქვს მიღებული?
- ჩაუტარდა თუ არა ზიანის შემცირების ან სხვა სახის კონსულტირება?
- შესაძლოა მოხდეს დემონსტრირება პროგრამის ფარგლებში დისტრიბუციისათვის განკუთვნილი სხვადასხვა მასალებისა, რომელთა მსგავსიც უნდა ჰქონდეს მიღებული ბენეფიციარს განმეორებითი მოცვის შემთხვევაში.

მაღალი რისკის ჯგუფის წევრებთან მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, კონფიდენციალობის პრინციპის დაცვისათვის უმჯობესია ინდივიდუალური გასაუბრების ჩატარება. თუმცა შესაძლებელია მათთან ჯგუფური გასაუბრებაც. გასაუბრების ადგილის დადგენა წინასწარი შეთანხმების საგანია, ეს შესაძლოა იყოს ამა თუ იმ ჯგუფის წევრთა შეკრების ადგილები ქუჩებში ან სკვერებში (უმეტესად ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლებისათვის); სექსმუშაკებისათვის ეს შეიძლება იყოს მათი სამუშაო ადგილები (საუნები, სასტუმროები, ბარები). რაც შეეხება ჰომოსექსუალური კავშირების მქონე მამაკაცებს, მათთან გასაუბრება უმეტესად ხდება მათთან წინასწარი შეთანხმებით უფრო ხშირად ეს ხდება სერვისის მიწოდების ცენტრებში, სადაც ისინი უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ თავს. თუმცა ეს საკითხი ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში შესაძლოა იყოს სხვადასხვა.

ტრენინგები

დოკუმენტაციის შემოწმება

უნდა შემოწმდეს რამდენად ხელმისაწვდომი და სრულყოფილია პირველადი დოკუმენტაცია და შეესაბამება თუ არა დროის იმ პერიოდს, რომლის შეფასებაც ხდება.

უნდა დადგინდეს ზუსტად და დროულად ხდება თუ არა სერვისის მიწოდების ადგილებზე პირველადი დოკუმენტაციის წარმოება და შემდეგ მოხდეს არსებული მონაცემების შედარება ანგარიშგებულ მონაცემებთან, იმის გასარკვევად, არის თუ არა მონაცემები სწორად აგრეგირებული ან ხომ არა აქვს ადგილი მანიპულირებას

და ასევე საკმარისია თუ არა ის ცვლადები ამა თუ იმ ინდიკატორის წარმოებისათვის

პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგებთან დაკავშირებით უნდა არსებობდეს მონაწილეთა აღრიცხვის ჟურნალი. უნდა მოხდეს პირველად დოკუმენტაციაში არსებული მონაცემების შედარება ანგარიშგებულთან და გაკეთდეს განმარტება შეუსაბამობის არსებობის შემთხვევაში.

ვერიფიკაცია

მონაცემთა ვერიფიცირებისათვის სერვისის მიწოდების ადგილებზე უნდა მოხდეს პირველად დოკუმენტაციაში აღრიცხული შემთხვევების დათვლა და შემდეგ მოხდეს შედარება ანგარიშგებულთან. შეუსაბამობის შემთხვევაში უნდა გაკეთდეს განმარტება

ჩატარებული ტრენინგების მონაცემების ვერიფიცირებისათვის უნდა შემოწმდეს ტრენინგის მონაწილეთა შევსებული პრე/პოსტ ტესტირების თუ სხვა შეფასების ფორმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და მოხდეს ამ მაჩვენებლების შედარება ანგარიშგებულ მონაცემებთან.

ჯვარედინი შემოწმება

თუკი შესაძლებელია უნდა ჩატარდეს ჯვარედინი შემოწმება სხვა რელევანტურ ინდიკატორებთან მიმართებაში. მაგ.: შესაძლებელია მოხდეს შედარება ფინანსურ დოკუმენტაციასთან, სადაც იქნება აღნიშნული დახარჯული თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შესაბამისი უნდა იყოს მონაწილეთა რაოდენობასთან ან ტრენინგის ჩატარების თარიღი.

დაკვირვება

ტრენინგებზე დასაკვირვებლად უნდა შეირჩეს სესიები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისათვის. სესიებზე დასწრების შედეგად უნდა გაირკვეს დამსწრეთა რაოდენობა, ტრენინგის ხანგრძლივობა და შეესაბამება თუ არა ეს მონაცემები დაგეგმილს. მნიშვნელოვანია, შეფასდეს ჩატარებული ტრენინგის ხარისხიც.

მაღალი რისკის ჯგუფების წარმომადგენელთა ტრენინგების შემთხვევაში სესიებზე დასწრება შესაძლებელია ტრენინგის მონაწილეთა თანხმობის შემთხვევაში. ტრენინგებზე დასაკვირვებლად სასურველია, არსებობდეს წინასწარ დამუშავებული მოკლე ჩამონათვალი თემებისა, რომელთა განხილვაც იგეგმება ტრენინგზე და დაკვირვების პროცესში მოხდეს განხილული საკითხებისა და მოკლე კომენტარის ჩანიშვნა თითოეულთან დაკავშირებით.

თანასწორთა განათლების ტრენინგებზე განსახილველი თემების ჩამონათვალის ნიმუშები მაღალი რისკის სხვადასხვა ჯგუფისათვის მოცემულია დანართი 5–ში.

ბენეფიციართა გამოკითხვა

თითოეული ტრენინგის სარეგისტრაციო ფორმებიდან რანდომულად უნდა შეირჩეს რამდენიმე (3 – 4) მონაწილე, მათი რეალურად დასწრების

შესამოწმებლად. მათთან კონტაქტის შემდეგ (საკონტაქტო ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში) უნდა გაირკვეს, როდის ჩატარდა ტრენინგი, რამდენი მონაწილე ესწრებოდა, რა ხანგრძლივობის იყოს ტრენინგი, მიიღეს თუ არა რაიმე დამადასტურებელი სერთიფიკატი თუ დამხმარე მასალა, შეავსეს თუ არა რაიმე სახის პრე/პოსტ ტესტირების ფორმა.

მაღალი რისკის ჯგუფების წარმომადგენელთა შემთხვევაში, როდესაც ტრენინგის მონაწილეთა პერსონალური/საკონტაქტო ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, მათთან დაკავშირება უნდა მოხდეს სოციალური მედიის დახმარებით და ჩატარდეს გასაუბრება, რათა გაირკვეს, დაესწრო თუ არა თანასწორთა განათლების ტრენინგს და როდის? ტრენინგის შემდეგ მოიზიდა თუ არა იგივე რისკის ჯგუფიდან თანასწორები? რამდენი თანასწორი მოიზიდა და როგორ? გაუზიარა თუ არა ტრენინგზე მიღებული ცოდნა თანასწორებს? როგორ აპირებს მათ დარწმუნებას აივ ტესტირების ჩატარების აუცილებლობაში?

საინფორმაციო მასალების/კონდომების დისტრიბუცია

დოკუმენტაციის შემოწმება

უნდა შემოწმდეს რამდენად ხელმისაწვდომი და სრულყოფილია პირველადი დოკუმენტაცია და შეესაბამება თუ არა დროის იმ პერიოდს, რომლის შეფასებაც ხდება.

უნდა დადგინდეს ზუსტად და დროულად ხდება თუ არა სერვისის მიწოდების ადგილებზე პირველადი დოკუმენტაციის წარმოება და შემდეგ მოხდეს არსებული მონაცემების შედარება ანგარიშგებულ მონაცემებთან, იმის გასარკვევად, არის თუ არა მონაცემები სწორად აგრეგირებული ან ხომ არა აქვს ადგილი მანიპულირებას და ასევე საკმარისია თუ არა ის ცვლადები ამა თუ იმ ინდიკატორის წარმოებისათვის.

საინფორმაციო მასალების/კონდომების დისტრიბუციასთან დაკავშირებით საჭიროა, არსებობდეს მათი აღრიცხვის ჟურნალი და უნდა მოხდეს მასში არსებული მონაცემების შედარება პირველად დოკუმენტაციასა და მონაცემთა ბაზასთან.

ვერიფიკაცია

საინფორმაციო მასალების/კონდომების დისტრიბუციასთან დაკავშირებით უნდა მოხდეს შედარება ადგილებზე მიღებული და გაცემული მასალების/ კონდომების რაოდენობის დათვლა და ამ რაოდენობის შედარება დროის იმავე პერიოდში ანგარიშგებულთან.

ჯვარედინი შემოწმება

თუკი შესაძლებელია, უნდა ჩატარდეს ჯვარედინი შემოწმება სხვა რელევანტურ ინდიკატორებთან მიმართებაში. სასურველია შემოწმდეს საინფორმაციო მასალებისა და კონდომების აღრიცხვის ჟურნალები და მოხდეს შედარება გაცემული მასალების რაოდენობისა ანგარიშგებიულთან.

ბენეფიციართა გამოკითხვა

უნდა შეირჩეს რამდენიმე (3–4) ბენეფიციარი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფიდან და მოხდეს მათთან გასაუბრება: ჰქონია თუ არა კონტაქტი სოცმუშაკებთან ადრე და თუ ჰქონია, როდის? მიიღო თუ არა საინფორმაციო მასალები/კონდომები და რამდენი? პროგრამის ფარგლებში დასარიგებელი მასალების/კონდომების დემონსტრირების შემდეგ მან უნდა დაადასტუროს მსგავსი მასალების მიღება.

მ&შ ანგარიშის ფორმატი

მონიტორინგისა და შეფასების ჩატარების შემდგომ ხდება მ&შ ანგარიშის მომზადება, რეკომენდაციების შემუშავება ძირითადი მიგნებების საფუძველზე და პრობლემების/ხარვეზების აღმოჩენის შემთხვევაში მათი გადაჭრის გზების დასახვა. წინასწარი შეთანხმების საფუძველზე დადგენილი დროის პერიოდის შემდგომ ტარდება განმეორებითი მონიტორინგი იმის დასადგენად, მოხდა თუ არა არსებული ხარვეზების გამოსწორება და რეკომენდაციების გათვალისწინება.

მ&შ ანგარიშის ფორმატი

I	ზოგადი მიმოხილვა
II	შესავალი <ul style="list-style-type: none"> • მონაცემთა ხარისხის შეფასების მიზანი • პროგრამის/პროექტის მოკლე მიმოხილვა • ინდიკატორები და ანგარიშგების პერიოდი • სერვისის მიწოდების ადგილი • მონაცემთა შეგროვებისა და ანგარიშგების სისტემის აღწერა ინდიკატორებთან მიმართებაში
III	მონაცემთა მართვისა და ანგარიშგების სისტემის შეფასება <ul style="list-style-type: none"> • სისტემის შეფასების ეტაპების აღწერა • ძირითადი მიგნებები • მონაცემთა მართვის სისტემის ხარვეზები და ძლიერი მხარეები
IV	ანგარიშგებულ მონაცემთა შეფასება <ul style="list-style-type: none"> • მონაცემთა ვერიფიცირების ეტაპების აღწერა • მონაცემთა ვალიდურობა • ანგარიშგებულ მონაცემთა სიზუსტე და კონფიდენციალურობა • მონაცემთა ხელმისაწვდომობა, სისრულე და დროული ანგარიშგება • ძირითადი მიგნებები • მონაცემთა ხარისხის ზოგადი შეფასება
V	რეკომენდაციები

მონაცემთა ეფექტური მართვის კუთხით ადამიანური რესურსების გადამზადების საჭიროებების გამოვლენისას მნიშვნელოვანია ასევე ტრენინგების ჩატარება ადგილებზე.

პროგრამული მონაცემების მართვა

მონაცემთა მართვის მიზნით პროგრამულ დონეზე უნდა არსებობდეს საინფორმაციო სისტემა. სასურველია მსგავსი პროექტები სარგებლობდნენ ერთიანი მონაცემთა ბაზით, რათა შესაძლებელი იყოს ეროვნულ დონეზე მონაცემთა აგრეგაცია სხვადასხვა წყაროდან.

აივ პრევენციული პროექტებისათვის შემუშავებულია ერთიანი მონაცემთა ბაზა (დანართი 1), სადაც თავმოყრილია ყველა ის ცვლადი, რომელსაც იყენებს თითოეული პროექტი და აუცილებელია კონკრეტული ინდიკატორების გასაზომად. ბაზაში არსებული ცვლადები და მისი გამოყენების ინსტრუქციები მოცემულია დანართი 2–ში.

ერთიანი მონაცემთა ბაზის არსებობის შემთხვევაში საერთოა ყველა პროცედურა, რის საფუძველზეც ერთნაირად ხდება მონაცემთა შეგროვება თუ აღრიცხვა და შესაბამისად, მონაცემებიც უფრო სანდო, ზუსტი და ხარისხიანია.

მონაცემთა ბაზის გაწმენდის ინსტრუქციები

საბოლოო სტატისტიკური მონაცემების მისაღებად და პროგრამის გამართულად მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მონაცემთა ბაზის დამუშავებას. კერძოდ, მის გაწმენდას და მომზადებას შემდგომი ანალიზისათვის.

მონაცემთა ბაზის გაწმენდა გულისხმობს მონაცემთა პირველადი რეგისტრაციისას დაშვებული შეცდომებისა თუ შეუსაბამოების აღმოჩენას და მათ შემდგომ გასწორებას. შეცდომები შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, მაგ:

1. დადგენილი ფორმატის შეცვლა, მაგ.: ყველა შემთხვევის რეგისტრაციისას დაცული უნდა იყოს თარიღის ერთნაირი ფორმატი;
2. თითოეულ ინდივიდს მინიშნებული უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი რისკის ჯგუფი;
3. არ შეიძლება მსმ იმავე დროს იყოს ქალი, ამ პირობით, ქალი სექს მუშაკი იმავდროულად – მამაკაცი;
4. თუ კოდის შეყვანის შემდეგ ასაკის ან სქესის სვეტში რომელიმე უჯრა ცარიელია ან აჩვენებს #VALUE ან შეუსაბამო ციფრს, მაშინ გადასამოწმებელია კოდი;
5. აღნიშნული ქალაქი უნდა ემთხვეოდეს იმ ორგანიზაციის ქალაქს, სადაც ხდება რეგისტრაცია;
6. თუკი ტესტირება არ არის ჩატარებული არ უნდა იყოს აღნიშნული ტესტირების შედეგი ან ტესტირების ადგილი;

